სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/67

ქ. თბილისი 9 მარტი 2018

2018-2019 სასწავლო წლის მეორე სემესტრში (საგაზაფხულო მიღება) საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 მარტის №3 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. განისაზღვროს საგნობრივი პროფესიული პროგრამების სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა (იხ. დანართი №1);
2. 2018-2019 სასწავლო წლის მეორე სემესტრში (საგაზაფხულო მიღება) საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის რაოდენობა განისაზღვროს 183 (ას ოთხმოცდასამი) ადგილით (იხ. დანართი №2);
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**